

რეკომენდაცია

მოქალაქეობის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საქმე N 1392/17

ბატონო დავით,

2017 წლის 1 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ს.-მ (შემდგომში განმცხადებელი), რომლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ააიპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი შორენა ლოლაძე. განცხადების თანახმად, მ. ს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან, გახდა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადების თანახმად, მ. ს. არის მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში მყოფი 7-სულიანი ოჯახის წევრი. ოჯახის შემადგენლობაში მის გარდა შედის მეუღლე და 5 შვილი, რომელთაგანაც 4 არასრულწლოვანია. მისი მეუღლე, ო. (პ.) ს., არის რუსეთის მოქალაქე, რომელსაც არ აქვს საქართველოში ბინადრობის მოწმობა. მოწმობის არქონის მიზეზი არის ფინანსური სიდუხჭირე, ვინაიდან, იურიდიული საფუძვლის არსებობის მიუხედავად, ოჯახს არ აქვს შესაძლებლობა ბინადრობის მოწმობის მისაღებად გადაიხადოს კანონით განსაზღვრული საფასური.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის დასანიშნად განაცხადის შევსებისას ოჯახის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს „საკუთარი და ოჯახის დეკლარაციის მიხედვით

ოჯახის ყველა წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია დოკუმენტის მფლობელის პირადი ნომერი.“

გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში ასევე მითითებულია, რომ „სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოიწეროს პირადი ნომრები.“

ამრიგად, განმცხადებლის განმარტებით, წინამდებარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მთლიან ოჯახს (ოჯახის ყველა წევრს) გაუმართლებლად უზღუდავენ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებას - მოითხოვონ საარსებო შემწეობა, ვინაიდან ოჯახის ერთ-ერთ წევრს ო. პ.-ს ზემოთხსენებული არც ერთი დოკუმენტი არ გააჩნია.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2017 წლის 8 თებერვალს, ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტიდან შემდეგ საკითხებზე:

- არსებული ნორმატიული მოწესრიგების პირობებში, რა შემთხვევაში შეუძლია მ. ს.-ს ოჯახს კანონით მინიჭებული საარსებო შემწეობის მიღების უფლების ეფექტური რეალიზება;
- რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებითა და 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად და საარსებო შემწეობის დასანიშნად გათვალისწინებულ მოთხოვნებში საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებისთვის ბინადრობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება.

2017 წლის 17 თებერვლის პასუხით, საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2016 წლის 26 ივლისს მ. ს.-ს ოჯახში, განახორციელა ვიზიტი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა და მისი შეფასების საფუძველზე, 2016 წლის 25 აგვისტოს, ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 46 640 ერთეულს. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესაბამისად, 2016 წლის 2 სექტემბერს, მ. ს.-ს ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს დაფიქსირდა დემოგრაფიული ცვლილება. კერძოდ, ოჯახს დაემატა ახალი წევრი - რუსეთის მოქალაქე ო. პ.-ს სახით. ვინაიდან ამ უკანასკნელს არ აღმოაჩნდა დეკლარაციის შესავსებად კანონმდებლობით დადგენილი საბუთები (განსახილველ შემთხვევაში ბინადრობის მოწმობა) და ვერც სააგენტოს მიერ მიცემული ერთთვიან ვადაში

მოახერხეს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, ოჯახს გაუუქმდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებითა და 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად და საარსებო შემწეობის დასანიშნად გათვალისწინებულ მოთხოვნებში, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, მითითებულია ბინადრობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება. სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ საიტზე არსებული ინფორმაციის თანახმად, ბინადრობის მოწმობის, რომლის მიღების მინიმალური ღირებულება შეადგენს 30 ლარს, აღების წინაპირობა არის ბინადრობის ნებართვა.

განსახილველ შემთხვევაში, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება 30 კალენდარულ დღეში და მომსახურების საფასური შეადგენს 210 ლარს.

შეჯამების სახით, შესაძლოა ითქვას, რომ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი აკმაყოფილებს სოციალური დახმარების მიღების კრიტერიუმს, მისი ერთ-ერთი წევრი კი არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში ცხოვრებისთვის არც ბინადრობის მოწმობა აქვს, მთლიანად ოჯახი რჩება სოციალური დახმარებით სარგებლობის მიღმა.

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹ ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II

გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია. იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ**. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არა აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება**, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.²

2.1 კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლით სარგებლობაში შესაძლოა ხელი შეეშალა განმცხადებელს

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ მსჯელობისას, უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე უფლებით სარგებლობის შეზღუდვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სოციალური უფლებების დაცვა, რაც მართალია, ცალკე არაა გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის ძალით, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. ამ პრინციპების ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება, როგორც ეს ჩანს კონსტიტუციის პრეამბულიდან, ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა „... ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“.³

ამასთან, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური

²ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, application nos: [48420/10](#), [59842/10](#), [51671/10](#), [36516/10](#), (ECtHR, 15/01/2013), §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, app. no: 13378/05, (ECtHR, 29/04/2008), § 60

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/126,129,158, III

დაზღვევის ჩათვლით. ხსენებული პაქტის მე-19 ზოგად კომენტარში⁴ აღნიშნულია, რომ სოციალური დაცვის უფლება მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: სოციალური დაზღვევისა და სოციალური დახმარების სქემებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს გადასახადების მობილიზებისა და ამოღების გზით შექმნილი დოვლათის საჭიროებისამებრ გადანაწილებას დაუცველ და სოციალური საჭიროების მქონე ჯგუფებზე. ასევე, პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ბინა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, როგორც სახალხო დამცველის ხელთ არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, მ. ს.ს და მის შვილებს შეეზღუდათ სოციალური დახმარების მიღების უფლება, რაც, შესაბამისი მატერიალურ-ეკონომიკური პირობების არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობით გარანტირებული უფლებაა.

3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა მოქალაქეობის ნიშნით

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.⁵ ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.⁶ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დადგენილი წინაპირობა, რომ პირმა უნდა აჩვენოს ანალოგიური პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესაძარებელი ჯგუფები იდენტურები უნდა იყვნენ.⁷

როგორც განსახილველი ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, 2016 წლის 2 სექტემბერს, მ. ს.-ს ოჯახში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის

⁴ General Comment No. 19; The right to social security (Art.9 of the Covenant) იხ. ვებ-გვერდი: <http://www.refworld.org/docid/47b17b5b39c.html>

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2

⁶ ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

⁷ ECtHR, *Clift v United Kingdom*, no. 7205/07, 22/11/2010, § 66

დროს დაფიქსირდა დემოგრაფიული ცვლილება. კერძოდ, ოჯახს დაემატა ახალი წევრი რუსეთის მოქალაქე ო. (პ.) ს.-ს სახით. ვინაიდან ამ უკანასკნელს არ აღმოაჩნდა დეკლარაციის შესავსებად კანონმდებლობით დადგენილი საბუთები (განსახილველ შემთხვევაში ბინადრობის მოწმობა) და ვერც სააგენტოს მიერ მიცემული ერთთვიან ვადაშიც მოახერხა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, მთლიანად ოჯახს⁸ გაუუქმდა რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, შესაბამისად, მ. ს. და მისი შვილები, რომლებიც ზემოხსენებული ფაქტის დადგომამდე იღებდნენ სოციალურ დახმარებას, დარჩნენ დახმარების გარეშე. იმ პერიოდში, ვიდრე ო. პ. შეუერთდებოდა ოჯახს, როგორც წევრი, ოჯახის დანარჩენი წევრები, როგორც ერთიანი სუბიექტი, იღებდნენ შემწეობას. შესაბამისად, ცვლილება გამოიწვია ო. პ.-ს ოჯახში შემომატებამ და მისი სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებამ.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი. ო. პ.-ს და ბინადრობის მოწმობის არმქონე სხვა პირებს, სახელმწიფოს მხრიდან, სოციალური დახმარების მისაღებად, სხვა პირობებთან ერთად, წაყენებული აქვთ ზემოხსენებული ნებართვის აღების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, სახალხო დამცველი არ აფასებს ო. პ.-სთვის ბინადრობის ნებართვისა და მოწმობის მინიჭების საკითხის კანონშესაბამისობას, შესწავლის საგანს წარმოადგენს ამ უკანასკნელის ოჯახზე მიერთებით, დანარჩენი წევრებისთვის სოციალური შემწეობის შეწყვეტის საკითხი. აქედან გამომდინარე, ო. პ.-სთვის დადგენილმა კრიტერიუმებმა გავლენა მოახდინა ოჯახის დანარჩენ წევრებზე. მაშასადამე, ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის თვალსაზრისით, შესაძარბელი სუბიექტებს წარმოადგენენ სოციალური დახმარების მიმღები ყველა ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრად არ შეუერთდა ბინადრობის მოწმობის არმქონე პირი.

4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

⁸ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ოჯახი განმარტებულია, როგორც „განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ასევე, ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.⁹ ამასთან, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.¹⁰

ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტრომ არ წარმოადგინა ინფორმაცია თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებითა და 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად და საარსებო შემწეობის დასანიშნად გათვალისწინებულ მოთხოვნებში საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებისთვის ბინადრობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება. აღნიშნულთან მიმართებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ერთი პირისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვა პირებისთვის უფლების მინიჭების საკითხის განმსაზღვრელ ფაქტორად.

შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს მამასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.¹¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველ კატეგორიას განეკუთვნებიან, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მათ შეძლონ პირადი ცხოვრების უფლებით ნორმალური სარგებლობა.¹² სახელმწიფოს გააჩნია შეფასების ფართო ფარგლები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში,¹³ თუმცა, ამის მიუხედავად, სახელმწიფომ უნდა

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება #3/1/531, II, 15

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 23

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II, 3;

¹² ECtHR, Winterstein and Others v France, no. 27013/17, 17/10/2013, §148; Chapman v. United Kingdom, no. 27238/95, 18/01/2001, §99

¹³ ECtHR, James and Others v. United Kingdom, no. 8793/79, 21/02/1986, §46; Mellacher and others v. Austria, nos. 10522/83; 11011/84; 11070/84, 19/12/1989, B, §45

უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის¹⁴ და მისი პოლიტიკა არ უნდა იყოს აშკარად დაუსაბუთებელი.¹⁵ ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიხედვლების ფარგლები ვიწროვდება, როდესაც სასწორზე დადებული კონკრეტული უფლება არის უმნიშვნელოვანესი იმისათვის, რომ ინდივიდმა ეფექტურად ისარგებლოს ფუნდამენტური უფლებებით.¹⁶

მწვავე სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების გარეშე, გარდაუვალია სოციალურად დაუცველი ჯგუფების მარგინალიზება და საზოგადოებისგან განცალკევება. მათ არ ეძლევათ ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სრულფასოვნად მონაწილეობა.. განსახილველ შემთხვევაში, მ. ს. და მის შვილებს ეძლეოდათ სოციალური დახმარება, რომელიც, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის იმავე ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაიცემა საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ განცხადებაში აღნიშნულ ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან, ქმედუნარიან წევრზე. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ო. პ. შეუერთდა ოჯახს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახალხო დამცველის მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს ო. პ.-ს მიმართ შესაბამისი ორგანოების მხრიდან გატარებული სოციალური პოლიტიკის შეფასება. მთავარი აქცენტი კეთდება იმ ფაქტზე, რომ ამ უკანასკნელის სამართლებრივმა მდგომარეობამ პირდაპირი გავლენა იქონია სხვა პირების - მ. ს. და მისი ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე.

ჯანდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 25 აგვისტოს, მ. ს. ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 46 640 ერთეულს. "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-6 მუხლით დადგენილია, რომ საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ამასთან, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ ოჯახებზე, საარსებო შემწეობის ოდენობა ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე. აქედან გამომდინარე, განმცხადებლისა და მისი ხუთი შვილის სოციალური შემწეობის გარეშე დატოვებამ, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მათ სრულფასოვან განვითარებას და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშეც კი დააყენოს ისინი.

¹⁴ Case "Relating to Certain Asepects of the Laws on the Use of Languages in Euducation in Belgium" v. Belgium, nos. 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64, 23/07/1968, III, §7, გვ.40, Rees v. United Kingdom, no. 2/1985/88/135, 25/09/1986, §37

¹⁵ ECtHR, Barrow v. United Kingdom, no. 42735/02, 22/11/2006, §35

¹⁶ ECtHR, Connors v. United Kingdom, no. 66746/01, 27/05/2004, §82

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შედეგად, ერთი პირის მიმართ არსებული სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობა, გავლენას ახდენს სხვა პირების უფლებრივ მდგომარეობაზე. შედეგად კი ვიღებთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან კუთვნილი სოციალური დახმარების მიღების უფლება ერთმევათ ისეთ პირებს, რომლებსაც სრული ფაქტობრივ-სამართლებრივი შესაბამისობა აქვთ აღნიშნული სიკეთის მისაღებად. ეს კი ეწინააღმდეგება "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მეორე მუხლით განსაზღვრულ სოციალური დახმარების მიზანსა და არსს, კერძოდ, შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება ან/და მისი პრევენციის მიზანს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სოციალური დახმარების შესახებ არსებული კანონმდებლობა მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ ერთი რომელიმე წევრის მიერ სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობამ, არ გამოიწვიოს სხვა წევრებისთვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,